ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2894929

ნომერი: AR1443829

თარიღი : 04.10.2016

გაცემის თარიღი : 26.10.2016

გაცნობის თარიღი : 26.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , 2კვარტალი, კორპ N7-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაური გრიგალაშვილი პ/ნ 38001003966
- საჩხერე ს. სპეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.10.2015 წლის №2253918 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 26/09/2016 წლის AR1443829 განცხადებით მომართა ზაური გრიგალაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.10.2015 წლის №2253918 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.10.2015 წლის №2253918 ბრძანებით ქ. თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, მე-2 კვარტალი, კორპ. N7-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. "პრადა"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №01.14.02.012.019), შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 22 ოქტომბრიდან 2016 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით.

განმცხადებელი ითხოვს 22.10.2015 წლის №2253918 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საერთო ფართობად (კვ.მ).: 761.5; სარდაფის ფართობად (კვ.მ).: 134.6; დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:15.3; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად (კვ.მ).:119.0 და სასტუმროს ნომრების ფართობად (კვ.მ): 319.6 დაფიქსირებას.

ამასთან, განმცხადებელი ითხოვს №2253918 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას შესწორებული გეგმებით (სახურავის გეგმის მ. 1-100-ის გარდა). 26/09/2016 წლის AR1443829 განცხადებით გადმოგზავნილ იქნა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმები (სახურავის გეგმის მ. 1-100-ის გარეშე), იდენტურ ფორმატში შესწორებული ფართების დაფიქსირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან განმცხადებლის მიერ 26/09/2016 წლის AR1443829 განცხადებით გადმოგზავნილია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმები (სახურავის გეგმის მ. 1-100-ის გარეშე), იდენტურ ფორმატში შესწორებული ფართების დაფიქსირებით და შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს 22.10.2015 წლის №2253918 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.10.2015 წლის №2253918 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა, სახურავის გეგმისა მ. 1-100) ჩანაცვლდეს 26/09/2016 წლის AR1443829 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
2. გასწორდეს სამსახურის 22.10.2015 წლის №2253918 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და სარდაფის ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:134.6; დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:15.3; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად (კვ.მ).:119.0; სასტუმროს ნომრების ფართობად (კვ.მ):319.6 და საერთო ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:761.5. ბრძანებაში მითითებული დანარჩენი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.10.2015 წლის №2253918 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.